ოთხშაბათი, 7 მარტი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 50

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად ლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

მაკრინე იოსების ასული და ელისაბედ ივანეს ასული მაისურაძეები, ნესტორ, სამსონ და ვასილ ბეჟანიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

**ეკატერინე ივანეს ასულის მაისურაძისას.**

დაკრძალვა 8 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ჩარქიელის გორა. (1—კვ.—1)

ვერა რომანოზის ასული და სოფრომ გაბრიელის ძე ტარიელოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრივ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ დიდის, ხოლო მეორე—სიდედრის ქვრივის

**ელისაბედ სოლომონის ასულის ზაზანოვისას.**

წირვა და პანაშვიდი ოთხშაბათს, 7 მარტს, დიდუბის ეკლესიაში. გასვენება ამ ეკლესიიდან და დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ამავე დღეს. (2—6.—2)

ნიკოლოოზ დავითის ძე ჯაბიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ მეუღლის

**ნატალია მაქსიმეს ასულის ჯაბიძისას.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე ვეძინის ქუჩაზე, მილინოვის სახლში, № 8 გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს დილის ათ საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საიდანაც წირვის შემდეგ დასაკრძალავად წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—6.—2)

თავ. კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე და კნ. ელენე იასონის ასული აფხაზნი და ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

**თ. ნიკოლოზ შერმაზანის ძის აფხაზისას.**

პანაშვიდი 6 მარტს, საღამოს 7 საათზე, ნიკოლოოზის ქუჩა № 7, (სახლი საგინაშვილისა). გამოსვენება 7 მარტს, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში), სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—579—2)

**მარტის პირველ რიცხვებიდან ტფილისში გამოვა**

ყოველ კვირეული სალიტერატურო და საპოლიტიკო რუსული გაზეთი

**„გრუზინსკაია მისლ“**

(ქართული აზრი)

რედაქცია თავის საგნად ისახავს:

ხელი შეუწყოს მშრომელ კლასთა ეკონომიურ, გონებრივ და სოციალურ განვითარებას; გაავრცელოს ჩვენ ხალხსა და მეზობლებში, ვინც გინდა იყვნენ ეს მეზობლები—სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, იდეები პიროვნების და საზოგადოებრიობის თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ, სწავლა ხალხთა ძმობასა და სოლიდარობაზე; გაიყვანოს ცხოვრებაში თავისუფალ და განათლებულ ხალხთა თანამედროვე დემოკრატიის მოთხოვნილებანი.

**ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში—დიდ-ვანქის ქუჩაზე მარტიროსოვის სახლში, ქართვ. გამომცემელ ამხანაგობის სტამბასთან.**

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 5 მან. | ერთი თვით | 50 კაპ. |
| ნახევარი წლით | 3 მან. | ცალკე №-რი | 10 კაპ. |

განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით ღირს ორ შაურად სტრიქონი, უკანასკნელზე—შვიდ კაპეიკად.

პირადად მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა 12-დან 2 საათამდე. (5—უ.—1)

**ვერის სამკურნალო**

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. შახნუძაგოვი**—ნერვებისა და ხელოქტროთ წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ეინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე $9^1/_2$—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და სახებით 11—12 საათამდე.

**ექ. ქალანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. კილოსანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მახხაგი.** (100—00)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—60)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუულაძისა, № 26. (25—6.—23)

**ლაკტო-ბაცილიანი რძე**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

**ა. ს. კლემანსკის**

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—87)

**ქ. ქუთაისში**

რკინის გზის სადგურის პირდაპირ ძმ. ჩარექოვების ადგილში 11 მარტს, დილის 10 საათიდან **გაიყიდება ნაწილ-ნაწილად მიწა;** ადგილი მაღლობზეა, ტყიბულის რკინის გზის შტოს გვერდზე; იქვეა ჰა. (5—6.—3)

დამატებითი განცხადება

ვიწქარით ვაცნობოთ ჩვენს ხელის მომწერთ, იმ ადგილზე, რომელიც მდებარეობს ვერაზე, არტილერიის ყაზარმის გვერდით და დარჩა მაკაროვებისაგან ფარსადანოვს, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ (შაბათამდე) ვისაც 200 ოთხ-კუთხ. საჟ. უნდა—150 მანეთი და ვისაც 100—75 მანეთი. დანარჩენ ფულებს იხდიან ექვს თვეში თვე და თვე.

გამგენი «ახალშენის» კონტორისა: სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე, ივანე სიმონის ძე შუბაშვილი, ბაგრატ არტემის ძე თოროზოვი, ისაკ ოქროპირის ძე ბახტაძე, მიხეილ გიორგის ძე გოგილაძე.

**სამკურნალო**

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდინკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ა. ფ. როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.

**ექ. ერმოლაევი.** ბავშ. ყოველ დღე, 12—1 ს.

**ექ. ნ. მ. აზპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. გუცევი.** ნერვ. სამშ., ოთხშ. და შ.ბ. 12—1 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, ორშ., ხუთშაბათს გარდა 1—2 ს.

**ექ. გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 12—1.

**ექ. ა. ი. პავლოვსკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 ს.

**ვ. ი. ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ვ. გ. ბოგოლეპსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ერმოლაევი.** შინაგ. და ბავშვ. ყოველდღე 12—1 საათამდე.

**გუცევი.** ნერვ. სამშ., ხუთ., კვირ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევშტროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. გ. მ. პივარსკი** | **ექ. ვ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ონოზკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—60)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

**„ნდობამ“**

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდღანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—3)

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1906 წლის საზოგადო კრებამ **საწევრო გადასახადი** დააწესა

**სამი მანეთი.**

ამასთან ამავე კრებამ დაადგინა, დაემატოს „საზოგადოების“ წესდებას ახალი მუხლი: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადიხდის მაზე დარჩენილს საწევრო ფულს“.

ამ მუხლის ძალით, ვინც ამ 1907 წლის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო ფულს, ის 1908 წლის პირველ იანვრიდან გამორიცხული იქნება წევრობიდან.

გამგეობა აუწყებს ამასვე „საზოგადოების“ აგენტებს და სთხოვს მათ, მოაგონონ წევრებს საზოგადო კრების დადგენილება და თავის დროზე შემოატანინონ საწევრო გადასახადი.

გამგეობას იმედი აქვს, რომ, რა-კი საწევრო გადასახადი შემცირდა, არავის გაუძნელდება მისი შემოტანა და ყოველი წევრი ეცდება მოაწოდოს თავისი წვლილი „საზოგადოებას“, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დღეს მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. (6—ვ—5)

პირველ მარტიდან უკვე მიიღება ხელის მოწერა

**ოსურ გაზეთ**

**„ნოვ ცარდ“-ზე**

(ახალი ცხოვრება)

რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით | 4 მან. | სამი თვით | 1 მ. |
| ნახევარი წლ. | 2 მ. | ერთი თვით | 50 კ. |

**წლიური ხელის მომწერნი წლის დამდეგს უფასოდ მიიღებენ ოსს მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს.**

ადრესი: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.

**რედაქტორ-გამომცემელი პ. თედეევი.**

ტფილისი, 7 მარტი.

სათათბირომ შინაურ მოწყობილების საქმეები თითქმის დაასრულა. იწყება ხანა იმის პრაქტიკულის მოღვაწეობისა. ეს მოღვაწეობა პირველ სათათბიროში დაიწყო გულის სიღრმიდგან ამოხეთქილის სიტყვით „ამნისტია“. ამ სიტყვას მოჰყვა საპასუხო ადრესის შედგენა, რომელშიაც ხალხის წარმომადგენლებმა თავისი გულისხმა, თავისი მისწრაფება გამოსთქვეს. ამ ადრესის საპასუხოდ მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გორემიკინმა წაიკითხა თავისი დეკლარაცია და გამოჩნდა, რომ სათათბიროსა და სამინისტროს შუა ხიდი ჩატეხილი იყო. ამ მომენტიდან დაიწყო იერიშები. ხალხის წარმომადგენლები მკვირცხლად გაჰოეკიდნენ სამინისტროს, თამამად აჰხადეს ფარდა გულის შემლონებელ სინამდვილეს; სამარცხვინო პოლიტიკის მხილებას ბოლო არ უჩანდა. ზნეობრივად სამინისტრო ყოველ დღე წინანდელზე უარესად მარცხდებოდა, მაგრამ მის დამარცხებას არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოსდევდა.

მეორე სათათბიროს პრაქტიკული მოღვაწეობა სულ სხვა პირობებში იწყება შინაურ საქმეების მოწყობის შემდეგ პირველ სიტყვას სამინისტრო ამბობს. სათათბიროს მოქმედება სამინისტროს დეკლარაციით იწყება. ხალხის წარმომადგენლებმა სატევ ტაქტიკას საგერი ტაქტიკა არჩიეს. იერიშს სამინისტრო მიიტანს, ხალხის წარმომადგენლებმა ეს იერიში უნდა აიცდინონ ან კონტრ-იერიში მიიტანონ.

რა შინაარსი აქვს იმ დეკლარაციას, რომლითაც სტოლიპინი წარსდგება სათათბიროს წინაშე, ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით. ამას მხოლოდ დღეს შეგვატყობინებს დეპეშა. მაგრამ რაც უნდა იყოს ნათქვამი დეკლარაციაში, მაინც სათათბიროს უმრავლესობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს, თავისი მოქმედება სამინისტროსთან სადემონსტრაციო ბრძოლაზე არ დაახურდავონ. სტოლიპინის გულს ისე არაფერი არ გაახარებს, როგორც ის, რომ სათათბირომ ეხლავე ფორმალურად უნდობლობა გამოუცხადოს მმართველობას და პარლამენტალური დილემმა წამოაყენოს წინ: ან ეს სათათბირო, ან ეს სამინისტროვო. მთელმა რუსეთმა იცის, ძალიან კარგად იცის, რომ ეხლანდელი სათათბირო სტოლიპინს და იმის დამქაშებს ვერ შეურიგდება. კარგად იცის ეს შეურიგებლობა თვით სტოლიპინმაც, მაგრამ... ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ რუსეთში რეალურად პარლამენტარიზმი და კონსტიტუცია არ არსებობს. სათათბიროს ისტორიული დანიშნულება ის კი არაა, რომ სტოლიპინის სამინისტრო გადაყენებულ იქმნას და სამაგიეროდ სხვა სამინისტრო დამყარდეს. სრულიადაც არა. სათათბიროს დანიშნულება ამაზე გაცილებით უფრო დიდ-მნიშვნელოვანი და გაცილებით უფრო ძნელი განსახორციელებელია. ეხლანდელმა სათათბირომ უნდა შესცვალოს თვით საფუძველი მართვა-გამგეობის სისტემისა და დაამყაროს ისეთი რეჟიმი, რომელიც იურიდიულად შეუძლებლად გაჰხდის ხალხის წარმომადგენელთა სურვილის წინააღმდეგ მიმართულს მთავრობის პოლიტიკას. ამ დიდის მიზნის მიხედვით არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, ეხლა რომ ხალხის წარმომადგენლებმა სტოლიპინის სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადონ. ეს მხოლოდ პარლამენტარიზმის თამაშობა იქნება და არა პარლამენტარიზმის დასამყარებელი საშუალება.

როგორც ეხლანდელი სამინისტრო, აგრეთვე იმისი მომხრე მემარჯვენე პარტიები სულით და გულით მოწადინებული არიან, რამენაირად ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინონ სათათბიროს, რომ იმის ხელზე დახვევა შეიძლებოდეს ხალხის წარმომადგენლების გასარეკად. სათათბიროს დათხოვნა ეხლავე, ვიდრე ის ღრმა ფესვებს გაიდგავდეს ხალხში—აი რეაქციის ლოზუნგი. ამ გარემოებას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, რატომ აქვს ოპოზიციას გადაწყვეტილი ყური მოუყრუოს სტოლიპინის დეკლარაციას. ეხლანდელ პირობებში ეს ყურის მოყრუება აუცილებელია, ამას კარგად ხედავენ როგორც კადეტები, აგრეთვე მემარცხენე პარტიები. ერთად-ერთი გამონაკლისი სოციალ-დემოკრატიაა, რომელსაც რაღაც სხვა განზრახვა აქვს, თუმცა კი ეს განზრახვა მას დღემდე არ გამოუქვეყნებია.

### მჭერმეტყველი ციფრები

რას წარმოადგენს რუსეთის თანამედროვე სახელმწიფო ბიუჯეტი? იგი საუკეთესოდ ახასიათებს თვით წეს-წყობილებას, ახასიათებს თვითმპყრობელ ბიუროკრატიის განმანადგურებელს როლს რუსეთის ხალხის ცხოვრებაში.

სახელმწიფო აუარებელ ფულს აგროვებს ხალხისაგან, მძიმე უღელს ადებს კისერზე ხალხს იმ განზრახვით, რომ სახელმწიფოს კულტურულ მოთხოვნილებათ გაუძღვეს, ნაყოფიერად დახარჯოს ფული და ამით ხელი შეუწყოს ხალხის მატერიალურსა და სულიერს ზრდას. ასე უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილად სულ სხვას ვხედავთ. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფონი საზოგადოდ არა ნაყოფიერად ხარჯავენ ხალხისაგან აღებულ ფულს (გაიხსენეთ თუნდ სამხედრო ბიუჯეტი); მაგრამ ის, რაც რუსეთში ხდება ამ მხრივ, საოცარია და უმაგალითო, როგორც უმაგალითოა თვით წესწყობილება. რუსეთის ბიუროკრატია, მთავრობა ხალხის მსახური კი არ არის, ბატონია; იგი—კი არ არსებობს ხალხისთვის, ხალხი არსებობს მისთვის. ასეთსავე განწყობილებას ვხედავთ ბიუჯეტში: მთელი შემოსავალი თითქმის ბიუროკრატიის საჭიროებას ხმარდება და არა ხალხისას.

ამას ცხადად გვიჩვენებს გაკვრითი ანალიზიც ახლანდელის ბიუჯეტისა, ნათლად გვიმტკიცებენ მჭერმეტყველური ციფრები, რომელნიც „რუსსკ. ვედომ.“-ს ამოუკრეფია და დაულაგებია ფინანსთა მინისტრის შემოსავალ-გასავლის პროექტიდან 1907 წლისათვის.

ავიღოთ ჩვეულებრივ გასავალის ბიუჯეტი. პროექტით იგი უდრის 2.173.130.171 მანეთს. ერთი მესამედი ამისა (718 მილიონ მანეთზე მეტი) შეადგენს იმ ხარჯს, რომელიც უნდება სახაზინო სამრეწველო საქმეების წარმოებას: მაგარ სასმელების მონოპოლიას, რკინის გზებს, სატყეო მეურნეობას და სხვა ამ გვარ სახაზინო საქმეებს. ეს ხარჯი, მაშასადამე, ხაზინის საწარმოვო თანხაა და ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას არ ხმარდება. ამ ფულის გამოკლებით რჩება გასავალის ბიუჯეტში 1 მილიარდი და 454 მილიონი მანეთი. ვნახოთ როგორღა იხარჯება ეს აუარებელი ფული, ეს მაინც თუ ხმარდება ხალხის კულტურულ საჭიროებათ.

პირველად ყოვლისა ამ ფულიდან უნდა გამოვაკლოთ 26%-ზე მეტი, სახელდობრ 380 მილიონი მანეთი, რომელსაც რუსეთი სარგებლად იხდის დღემდის აღებულ ვალებში. დარჩა 1 მილიარდ 74 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი. აქე-

დან $42\frac{1}{2}$%-ი ანუ 457 მილიონ მანეთზე მეტი იხარჯება არმიასა და ფლოტზე! დაგვრჩა ეხლა სახარჯო ბიუჯეტიდან მხოლოდ 616 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი. ამრიგად, ორ მილიარდიან ბიუჯეტიდან თითქმის სამი მეოთხედი უკვე გაჰქრა ისე, რომ ხალხის კულტურულ საჭიროებათა განხილვაში არც კი შევსულვართ.

ზემოდ აღნიშნულ „დარჩენილ" ბიუჯეტიდან აუარებელი ფული იხარჯება სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვაზე; სახელდობრ, ყველა უწყებათა შენახვა ხალხს უჯდება 170.570,729 მანეთად! პოლიციას უნდება 64 მილ., საპატიმროებს—47 მილ., სამღვდელოებას—16 მილ., პენსიებისა და არენდებისათვის (მოხელეთა განსაკუთრებული ჯილდო) გადადებულია 87 მილიონზე მეტი. ეს და მართვა-გამგეობის შესანახად სხვა „წვრილი" ხარჯებიც რომ გამოვაკლოთ გასავლის ბიუჯეტს, დაგვრჩება სულ მცირე ჯამი, რომელიც ხმარდება მართლა კულტურულ საჭიროებათ. რამდენად მცირეა ეს ხარჯები, გვიმტკიცებენ შემდეგი ციფრები: გზებს, ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს უნდება 44 მილ. მანეთი, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს—3 მილ. მან., გამიჯვნის საქმეს—2 მილიონამდე და ბოლოს საერო განათლების მთელ საქმეზე ყველა უწყებანი ხარჯავენ 77 მილ. მანეთს, აქედან: პირველ დაწყებით სწავლაზე—30 მილ., საშუალოზე—15 მილიონს, უმაღლესზე—9 მილიონს, სპეციალურზე (სამხედრო, სასულიერო და სხვა) 17 მილიონს, სამეცნიერო საზოგადოებებზე—2 მილიონს და სხვა. ამ რიგად, „ჩინოვნიკების" შენახვაზე რუსეთის სახელმწიფო ხარჯავს 170 მილ. მანეთს და საერო განათლებაზე 77 მილიონს!.. სულ-კი, ორ მილიარდ ბიუჯეტიდან ნამდვილი ნაყოფიერი ხარჯი 130 მილიონი მანეთიც არ მოდის!!.

აი, რა სურათს წარმოგვიდგენს თანამედროვე რუსეთის წესწყობილება. აქვე უკეთესად ირკვევა ის გამოცანა, თუ რატომ იცავს ასე გამწარებულად და თავდადებით რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია თანამედროვე წესსა და კანონებს და რატომ ეწინააღმდეგება ესოდენის თავგანწირულებით განმათავისუფლებელ მოძრაობას...

# სათათბირო და საბჭო

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 6 მარტი, ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ საათი. ეს არის ეხლა გაიხსნა სათათბიროს სხდომა თავად-აზნაურთა საკრებულოში, რადგან ტავრიდის სასახლეში სათათბირომ აღარ მოისურვა შეკრება. ერთის საათის შემდეგ სტოლიპინი წაიკითხავს დეკლარაციას. დეპუტატებს აღელვება ეტყობათ. მემარცხენენი და ს.-დემოკრატები ემზადებიან ცხარე კრიტიკისთვის. ცენტრს არა სურს კრიტიკა და წინადადებას შეიტანს მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ. ყველას ყურადღება მიქცეულია პრემიერს სტოლიპინზე, რომელიც გარეგნულად მშვიდობიანად ზის. სტოლიპინს გარს ახვევიან ბიუროკრატები.

მალაქია ბოლქვაძე სამართალში მისცეს საქართველოს შესახებ დაბეჭდილ წერილებისათვის. მოწმეებად იქნებიან ქართველი დეპუტატები.

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი**. სათათბიროს სხდომა მოხდება 6 მარტს, დილის 11 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში. ამ სხდომაზე არჩევნების კანონიერებას გასინჯავენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოუსმენენ და მიმდინარე საქმეებზე ისჯაბაასებენ.

ტავრიდის სასახლეში მუშაობა გაჩაღებულია. სათათბიროს სატეხნიკო კომისიამ, რომელსაც ტავრიდის სასახლის დათვალიერება ჰქონდა დავალებული, გამოარკვია, რომ სასახლე მეტის-მეტად ძველია და ამ დროებით იქ სხდომების გამართვა შეუძლებელიაო. საჭიროა მთელი შენობის გულ დასმით დათვალიერება. არა თუ საშიშია ეკატერინეს დარბაზი, საშიშია თავმჯდომარის კაბინეტიც და საჩაიე, სადაც ჭერი დაწეულია, არსად შენობა ქვის თაღით არ არის შეკრული. ქვისაა მხოლოდ კედლები, დანარჩენი სულ ხისაგანაა გაკეთებული. სვეტებიც ხისაა, მხოლოდ გარედან აგური აქვს შემოვლებული. ცეცხლი რომ გაჩნდეს, მისი ჩაქრობა შეუძლებელია. ხის მასალა სულ დამპალია. ცეცხლის დროს საქმეები და ქონება დაიღუპება. ამ გამოკვლევის შემდეგ პრეზიდიუმმა და კომისიამ სატეხნიკო კომისიას დაავალა სასახლის მთელ შენობის დათვალიერება.

არჩევნების შემოწმების მეშვიდე განყოფილებამ სხდომები გაათავა. გადაწყვეტილია ტამბოვის გუბერნიის არჩევნები გააუქმონ. იქ 11 მემარცხენე გავიდა. არჩევნების გაბათილების მიზეზი ის არის, რომ არჩევნები მეექვსე დღეს მოუხდენიათ და 7 ამრჩეველიც არ დასწრებია.

მემარჯვენეებმა გადასწყვიტეს; თუ მემარცხენეები დეკლარაციის შემდეგ უმოტივოდ არ გადავლენ მორიგ საქმეებზე, თვითონ მოტივიან წინადადებას შეიტანენ, მთავრობას ნდობას გამოუცხადებენ და აღნიშნავენ, რომ მზად არიან მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო მუშაობაში.

სახ. სათათბიროს სახელზე თეირანის მეჯლისისაგან დეპეშა მოვიდა. მეჯლისი სათათბიროს ხელ ახლა გახსნას ულოცავს და ამბობს: „სპარსეთის ახალგაზრდა პარლამენტი ბედნიერია ყოველივე სიკეთე გულწრფელად უსურვოს თავისს უფროსს დას, რუსეთის სახ. სათათბიროს".

6 მარტს საღამოს 9 საათზე თავად-აზნაურთა საკრებულოში სახ. საბჭოს წევრები მოისმენენ მინისტრ-პრეზიდენტის მოხსენებას. მთელი კვირის განმავლობაში სახ. სათათბირო სახ. საბჭოს სადგომში გამართავს ხოლმე სხდომებს.

შემდეგი სხდომა სახ. საბჭოსი შაბათს საღამოს მოხდება.

(გაზეთებიდან)

**პრესსის წარმომადგენლები**. სათათბიროს თავმჯდომარემ გამოუცხადა პრესსის წარმომადგენლებს, რომ იმათ ნება არ ეძლევათ ადმინისტრაციისაგან სათათბიროს კულუარებში შესასვლელად. ამნაირად მწერლებს, სათათბიროს დეპუტატებს აშორებენ. ამავე დროს სათათბიროს დაცვის უფროსმა მოხელემ მოსთხოვა ოფიციალურად პრესსის ბიუროს, აცნობოს, სადა აქვს ბინა თვითეულ კორესპონდენტს და რომელ გაზეთში თანამშრომლობს. როგორც სჩანს, კორესპონდენტებს „გაწმენდას" უპირებენ.

**საადგილ-მამულო საკითხი**. 1 მარტს სათათბიროს კულუარებში მრავლად მოიყარეს თავი დეპუტატმა გლეხებმა და მოლაპარაკებმა ჰქონდათ მათთვის ყველაზე უფრო საგულისხმიერო საგანზე—საადგილ-მამულო საკითხზე. თანხმობით აღიარეს, რომ სათათბირო ყველაზე უწინ ამ საკითხის განხილვას უნდა შეუდგეს. კამათი იყო აღძრული იმის შესახებ, თუ როგორ, რა პირობითა და საშუალებით უნდა გადაეცეს მიწა გლეხებს. ის გარემოება კი, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცეს, ყველასათვის აუცილებელი და თვალსაჩინოა.

**სტოლიპინის დეკლარაცია**. ხმებია, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაცია სათათბიროს მიმართ სალამით იწყება, შემდეგ გამოთქმულია მთავრობის მწუხარება იმის გამო, რომ იგი იძულებული იყო იმპერიაში სასტიკი ზომები შემოეღო. ამასთანავე მთავრობა აცხადებს იმედს, რომ ახლო მომავალში ეს ზომები საჭირო აღარ იქნება და გაუქმდება. შემდეგ დეკლარაცია საადგილმამულო საკითხს ეხება. გამოთქმულია მთავრობის აზრი იმის შესახებ, რომ საადგილმამულო რეფორმა უეჭველად უნდა მოხდეს, რადგან დრომ მოიტანა ამ საკითხის ძირიანი გადაწყვეტა, ხოლო რეფორმა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას არ უნდა უდრიდეს. რაც შეეხება საკითხს ხალხის განათლების შესახებ, მთავრობა იმ განზრახვას ადგია, რომ ბოლოს-და ბოლოს საყოველთაო სწავლება შემოიღოს. დეკლარაციაში აღნიშნულია საჭიროება გადასახადების ტვირთის შემსუბუქებისა—შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესებისა. დასასრულ ჩამოთვლილია მუშათა საკითხის შესახებ მთავრობის მიერ შედგენილი კანონპროექტები.

**მთავრობის გაზეთი სათათბიროს დაშლის შესახებ**. მთავრობის ოფიციალურ გაზეთში „როსსია"-ში დაბეჭდილია: მემარცხენეთა პრესსა უდროოდ სწუხს სახელმწიფო სათათბიროს ბედ-იღბალის გამო. მემარცხენეთა ერთი გაზეთი იუწყება, ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაშალოს სათათბირო იმ შემთხვევაშიაც, თუ თვით მემარცხენენი საამისო მიზეზს არ მისცემენო. მემარცხენენი კანონიერების ჩვეულნი არ არიან და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ მთავრობა საკმაოდ ძლიერია, რათა სხვებს კანონის პატივის ცემა დაავალოს, თითონ არასოდეს არ შელახავს ამ კანონს, არამედ ყველა ქვეშევრდომთ კანონის პატივის ცემის მაგალითს აჩვენებს. სახელმწიფო სათათბირო ხელმწიფის მიერაა მოწოდებული, მთავრობაც ხელმწიფისაგანაა დანიშნული. სათათბიროს საკანონმდებლო უფლებას და მთავრობის აღმასრულებელ უფლებას საერთო წყარო აქვთ—ხელმწიფის ნება, და როგორ შეიძლება, რომ მთავრობამ სათათბიროს კანონიერი მოქმედება დააბრკოლოს. იმის მოღვაწეობას აბრკოლებენ პასუხის გებას მოკლებულნი მრჩეველნი, რომელნიც სცდილობენ მთავრობისა და სათათბიროს შორის შეტაკება გამოიწვიონ.

**მაჰმადიანთა ჯგუფი**. სათათბიროს მაჰმადიანი დეპუტატები, რიცხვით 40 კაცი, ადგენენ ცალკე საპარლამენტო ჯგუფს, რომელიც თავისი პროგრამითა და მოქმედებით ცენტრს შეეფერება. საადგილ-მამულო საკითხში—მაჰმადიანები აღიარებენ მიწის ძალდატანებით ჩამორთმევას, სამართლიანი შეფასებით; აგრეთვე მოითხოვენ ფართო ადგილობრივ თვითმართველობას, ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას და სხ.

**მალოროსი-დეპუტატები**. 27 თებერვალს სათათბიროს დეპუტატებმა მალოროსებმა, რიცხვით 30 კაცმა, კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს პეტერბურგში მალოროსიულ ენაზე სახალხო გაზეთი გამოსცენ, რომელსაც საფუძვლად დაედება მშრომელთა ჯგუფის პროგრამა.

**მშრომელთა ჯგუფი**. 26 თებერვალს მშრომელთა ჯგუფს თათბირი ჰქონდა საადგილ-მამულო საკითხის შესახებ. დაესწრო 76 კაცი. მოხსენება წაიკითხა კარავაევმა, რომლის ნაშრომს საფუძვლად დაედო პირველ სათათბიროში შეტანილი კანონ-პროექტის უმთავრესი მუხლი: „მთელი მიწა მთელ ხალხს". მიწის განაწილების შესახებ კამათის დროს ზოგი უფრო სამართლიან განაწილებას ემხრობოდა, ზოგიც სრულ გათანასწორებას აღიარებდა.

საბოლოო გადაწყვეტილება კრებას არ გამოუტანია.

**უცხოეთის გაზეთები სათათბიროს დაშლის შესახებ**. ლონდონის გაზ. „ტაიმს"-ს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდან: თუ სათათბირო სოციალ-დემოკრატების წინადადებას მიიღებს ამნისტიის შესახებ, დაუყოვნებლივ დაშლილ იქნებაო. ხმებმა სათათბიროს მომავალ დაშლის შესახებ ისე იმოქმედა პარიზის ბირჟაზე, რომ შეამცირა რუსეთის ქაღალდების ფასი. საფრანგეთის პრესსა დაბეჯითებით ირწმუნება, მთავრობა მიზეზს ეძებს სათათბიროს დასაშლელად, შემდეგ კი ყველა გუბერნიიდან თავად-აზნაურთა წინამძღოლებს და ზოგიერთ საერობო მოღვაწეს მოიწვევს და საარჩევნო კანონის შეცვლას დაავალებსო.

# ახალი ამბავი

**პოლიტიკური საქმე**. 5 მარტს ტფ. სამოსამართლო პალატამ გამოიწვია ტფ. საგუბერნიო საპატიმროსა და მეტეხის ციხიდან გიმნაზიის მოსწავლე სიმონ

# ფელეტონი

არ ახალია,—ძველია

**ეკონომიური მატერიალიზმი.**

III *)

დასასრულ, ავიღოთ ზნეობა და განვიხილოთ იგი, ვნახოთ,—პირდაპირი ფუნქციაა იგი ეკონომიურ განვითარებისა, ე. ი. საწარმოო ძალთა განსაზღვრულ მდგომარეობისა და განვითარებისა, თუ აგრეთვე მათგან დამოუკიდებლად წარმომდგარი მოვლენა, შემდეგ კი განვითარებული საზოგადოდ ყველა პირობათა ზეგავლენით,—როგორც ეკონომიურთა და პოლიტიკურთა, ისე განსაკუთრებით რელიგიოზურთა. ზნეობის წარმოშობის ძირი არც რელიგიოზურია და არც მისტიურ-მეტაფიზიკური, როგორც გვარწმუნებდნენ რელიგიოზური დოქტრინიორები და ფილოსოფოს-მეტაფიზიკოსები[1]).

ზნეობა საზოგადოებრივობის შედეგია, იგი საზოგადოებრივი ფსიხიური მოვლენაა. მისი წარმოშობა ბუნებრივია, ცხოვრებითი, და არა მეტაფიზიკური და წმინდა რელიგიოზური.

პირველ წერილებში ჩვენ ვამბობდით, რომ განწყობილება A სა და B-ს შორის ჰქმნის ცხოველთა და ადამიანის ცხოვრებისა და განვითარების მრავალ დამხასიათებელ მხარეს. მაგრამ იგივე განწყობილება, სახეთა შენახვის კანონის ძალით, ჰქმნის აგრეთვე ინდივიდთა შორის განწყობილებებს,—საზოგადოებას. აი, ამ საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ ზნეობის დასაბამი. ინდივიდუალური ცხოვრება ზნეობას ვერ წარმოშობავს, ვერ წარმოშობავს ზნეობას აგრეთვე არაორგანიული ცხოვრება. **ზნეობა განწყობილებაა ცოცხალ ინდივიდუალურ ენერგიათა**. ოსტვალდი ამბობს: „ჩვენ ყველა ცხოველთა შორის აღმოვაჩინეთ ერთი საერთო ტენდენცია—მისწრაფება რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივ სიცოცხლისადმი. სანამ ერთი რომელიმე არსი თავის განსაკუთრებულ ცხოვრებით სცხოვრობს, თავის გავლენისა და ცდის წრეში იმყოფება, ცნება კეთილისა და ბოროტისა მათ შორის შეუძლებელია, რადგანაც ამ განმარტოებული არსის ცხოვრება სავსებით დამოკიდებულია მის საკუთარ თვისებათაგან და გარემოცული წრის ხასიათისაგან. მისი არსება დამოკიდებულია ამ განწყობილებათაგან, და არც ერთი მოვლენა მისის ცხოვრებისა არ არის შეკავშირებული სხვა არსის სიკეთესთან ან ვნებასთან".

„არა-ორგანიულ ცხოვრებაში, სადაც ცალკე საგნები ერთად არიან, ერთმანეთზედ მოქმედებენ და ზღუდავენ ერთმანეთს, არ შეგვიძლია აგრეთვე ვილაპარაკოთ კეთილსა და ბოროტზედ. არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ესა თუ ის საგანი რომელსამე შემთხვევაში მოიქცეს სხვა ნაირად, ვიდრე იგი იქცევა ნამდვილად. თუ არ არსებობს თავისუფლება არჩევანისა, არ არსებობს, მაშასადამე, პასუხის-მგებლობა და, მაშასადამე, მორალური დაფასება".

მხოლოდ მაშინ, როდესაც მრავალ არსის ცხოვრება კავშირდება ერთად (ცოცხალ არსთა,—B.), აღმოჩნდებიან ხოლმე მოვლენანი, რომელთაც უდგება მორალური დაფასება. თავდაპირველად ეს მოვლენანი გამოურკვეველნი არიან, შემდეგ კი მით უფრო ირკვევიან, რაც უფრო არსი განვითარებულია და მიეწერება მას ნათელი თვითცნობიერება და თავისუფლება არჩევანისა"[2]).

ოსტვალდის შენიშვნა გვიჩვენებს პირდაპირ, რომ სახეთა შენახვის კანონის ძალით აღმოცენებულ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ზნეობის აღმოცენება და განვითარება. და მართლაც, წმინდა ბუნების მეტყველებს რომ მივმართოთ, ბევრს საგულისხმიერო რამეს გვეტყვიან ამის შესახებ.

ცხოველთა საზოგადოება მოკლებული არ არის ზნეობრივ გრძნობას, რადგანაც საურთი-ერთო დახმარებაა განმამტკიცებელი მათი სახის დაცვისა, და საურთიერთო დახმარება კი დასაბამია ზნეობისა, ინდივიდის ზნეობრივ მოქმედებისა. თუ ზნეობა შესაძლებელია ცოცხალ ინდივიდუალურ ენერგიათა განწყობილების დროს, საურთიერთო დახმარება, როგორც ინდივიდუალურ ენერგიათა შეერთება საერთო ბრძოლისათვის, ერთად-ერთი პირობაა ზნეობრივ ცნებათა აღმოსაცენებლად. დარვინი ამბობს: „შემდეგი აზრი მიმაჩნია ძლიერ შესაძლებლად: ყოველი ცხოველი, რომელსაც აქვს განვითარებული მკვიდრი სოციალური ინსტინქტები, სხვათა შორის მშობლიური გრძნობანი, უსათუოდ შეიძენს მორალურ გრძნობას ანუ ცნობიერებას, როდესაც მისი გონებრივი ძალები ისეთ განვითარების ხარისხს მიაღწევენ, როგორიც აქვს ადამიანს."[3]) დარვინის აზრით, ეს აუცილებელია ჯერ ერთი იმიტომ, რომ სოციალური ინსტინქტები ცხოველს სიამოვნებას გამოაცდევინებენ საზოგადოებაში. მეორე იმიტომ, რომ ცხოველის წარსულ მოქმედებათა გამოხატულება ყველა ინდივიდის ტვინში გაივლის, და როდესაც ინდივიდი ჰხედავს, რომ სოციალურ ინსტიქტთა მიერ გამოწვეული მოქმედებანი სხვა ინსტინქტების მიერ გამოწვეულმა მოქმედებამ დაჰფარა, იგი გრძნობს უსიამოვნებას, და სხვა. შემდეგ დარვინს მოჰყავს სხვა და სხვა ცხოველთა ცხოვრებიდან მრავალი მაგალითი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ მათ შორისაც შეუმუშავებია სოციალურ ცხოვრებას **გრძნობანი** კეთილისა და ბოროტისა, რომელნიც წყარონი არიან შემდეგ განვითარებულ კეთილისა და ბოროტის **ცნებათა**. ყოველ შემთხვევაში ღირს შესანიშნავია, რომ დარვინი ზნეობის დასაბამს ცხოველთა სოციალურ ცხოვრებაში ეძებს. და ამ აზრით მართალია, რომ ადამიანის ზნეობა „შთანერგილია", ადამიანი დაიბადა პირველად და **იბადება** ზნეობრივ არსად ქვეყანაზედ.

მეორე ბუნების-მეტყველს, პ. კროპოტკინს, კიდევ მეტი მაგალითი მოჰყავს სხვადა სხვა ცხოველის ცხოვრებიდან, განსაკუთრებით ფრინველთა და მაიმუნთა ცხოვრებიდან, თუ რა ზნეობრივ გრძნობებს იჩენენ ისინი საურთი-ერთო დახმარების დროს, რომელსაც ისინი საფუძვლად უდებენ არსებობისათვის ბრძოლას[4]). იმავე აზრისანი არიან. რომანესი, ბრემი, ბეიტსი და მრავალნი ბუნების მეტყველნი, რომელთაც შესწავლილი აქვთ ცხოველთა ცხოვრება და მათი გონებრივ განვითარების მდგომარეობა.

ცხოველთა შორის ცხოვრებითი განწყობილებანი,—საურთი-ერთო დახმარება, ეს საფუძველი სახის შენახვისა,—იწვევს ზნეობრივ გრძნობას ინდივიდთა შორის, და როგორც ადამიანის ზნეობაში, რაც აქ არის არავითარი მისტესიული და მისტიური რამ. **ცხოველთ კი ნასახიც არა აქვთ „საწარმოო ძალთა", მაშასადამე, ზნეობის წარმოშობა ფუნქციონალურად არ არის შეკავშირებული საწარმოო ძალთა წარმოშობასთან.** ადამიანმა ცხოველთაგან მიიღო, მაშასადამე, ზნეობრივი გრძნობა ისე, როგორადაც თვით სოციალური წესი ცხოვრებისა. და თუ მან ეს ზნეობა უმაღლესად განავითარა, ეს იმიტომ, რომ მთელი მისი განვითარება იყო ყოველ მხრივი სხვა ცხოველებთან შედარებით. მაგრამ იმის ზნეობის ძირიც აგრეთვე ადამიანთა შორის საურთი-ერთო დახმარებაშია, როგორც ცხოველთა შორის. ერთი და იგივე მიზეზი ჰქმნის ერთსა და იმავე შედეგს.

თავდაპირველად ცხოველთა შორისაც ზნეობის შთანაჩენებს მხოლოდ ისეთი სიფართოვე აქვთ, რაოდენიც არის სიდიდე თვით ასსოციაციისა. კეთილისა და ბოროტის გრძნობა შეკავშირებულ ასსოციაციის იქით არ მიდის; როგორც გვარეულობის შეგნებაა ვიწრო ცხოველთა ასსოციაციების შორის, ამის თანახმად მათი ზნეობრივი გრძნობანიც ვიწრონი და მკრთალნი არიან. კეთილია მათთვის ის, რაც მთელ ასსოციაციას არგებს, ესე იგი ამ ასსოციაციის რომელსამე წევრს; ბოროტია ის, რაც მათთვის მავნებელია. სიბოროტეც და სიკეთეც იმ საგანთა და ცხოველთ ეწერებათ, რომელნიც ასსოციაციას ზიანს ან სარგებლობას აყენებენ.

პირველ-ყოფილი ადამიანი არ განირჩევა ამ შემთხვევაში უმაღლესად განვითარებულ ცხოველებისაგან და მისი ზნეობაც ვიწრო ასსოციაციას არა სცილდება. მაგრამ იმის და მიხედვით, თუ როგორ ორგანიზაციას იღებს ადამიანთა საზოგადოება, თუ როგორია დამოკიდებულება სხვა და სხვა ეთნიურ და სოციალურ ჯგუფთა შორის, ზნეობაც ეგუება სოციალურ ორგანიზაციის ფორმებს და ვითარდება თანახმად გვარეულობის შეგნების განვითარებისა.

რომ ავიღოთ, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ადამიანის განწყობილება ცხოველებთანაც—ვნახავთ შემდეგს: ადამიანს აქვს თავის (ვიწრო თუ ფართო) გვარეულობის შეგნება და მისი ზნეობრივი ცნება ამის ფარგალს ვერა სცდება;—დანარჩენ ცხოველნი არ შეადგენ იმის გვარის

*) იხ. „ისარი" № 46

[1]) იხილე ამაზედ მშვენიერი ეტიუდი პ. კროპოტკინისა: «La Morale Anarchiste» (კროპოტკინის მთელი წიგნი „ეთიკაზედ" მალე გამოვა ინგლისურ ენაზე).

[2]) Оствальдъ: „Натурфилософія", p. p. 328—329.

[3]) C. Darwin: «The Descent of Man», p. p. 149—150.

[4]) P. Kropotkine: «Mutual» Aid, თავები I და II.

ციციშვილი, სტუდენტი საველიევი, ტფ. მცხოვრებნი გ. ვართანოვი, შახდეგიანცი, ბოროვსკი და საპოჟნიკოვი და ყველა მათ ჩაბარა საბრალმდებლო ოქმები. ამათ აბრალებენ ისეთ საზოგადოების წევრობას, რომელსაც აზრადა აქვს არსებულ წეს-წყობილების დანგრევა. აბრალებენ აგრეთვე 1906 წელს გაზაფხულზე სლეპცოვის ქუჩაზე მზადებას პოლიცმეისტერის მარტინოვის მოსაკლავად. ამ საქმეს პალატა მალე განიხილავს.

**საქმე მიტინგის გამართვის შესახებ.** 13 მარტისთვის ტფ. სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე ვოლნოოპრედელიაიუშჩების კ. ტ. ჯავრიშვილისა, თავ. ვახვახიშვილისა, ნ. გ. არჩვაძისა, ლ. კაზლოვსკისა, ვ. გ. შელოტკოვსკის ქალისა და სალდათების ლობაჩევისა, ხადატაისა და ნიკულინისა. ამათ ჰბრალდებათ ის, რომ შეურეთდნენ სამხედრო კავშირს და მიზნად დაისახეს არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დახმობა. ამასთანვე ბრალდებულთ შარშან დედოფლის წყაროზე მიტინგისგამართვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელი პოლკის სალდათებმა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა. მაშინ ბევრი სალდათი დააპატიმრეს, მაგრამ, ზემოდ აღნიშნულთა გარდა, ყველანი გაანთავისუფლეს. პალატაში ბრალდებულთ დაიცავენ ვექილები მაღალაშვილი, კლანქი და სხვანი. მოწმედ დაბარებულია 40-მდე კაცი.

**პოლიციელის მოკვლა.** გუშინ, 6 მარტს, ვერაზედ ელექტრონის ვაგონით მიდიოდა გოროდოვოი გონჩაროვი. როცა ეტლი სარაჯიშვილის ქარხანას მიახლოვებია, ვაგონში შევარდნილა რამდენიმე კაცი, ხუთჯერ უსროლიათ რევოლვერი და გონჩაროვი იქვე მოუკლავთ. მკვლელები მსწრაფლ მიმალულან.

**ჩხრეკა.** 5 მარტს ღამე პოლიციამ ჯარის დახმარებით გაჩხრიკა მრავალი მცხოვრები. როგორც ამბობენ, დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. ჯერ ვერ გავიგეთ ვინ არიან დაპატიმრებულნი და ან რა აღმოაჩნდათ.

**ახალი გაზეთი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქაიხოსრო ქავთარაძეს გამოსცეს ტფილისში ყოველ დღიური ქართული საპოლიტიკო-სალიტერატურო საზოგადო გაზეთი „ამირანი".

**ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** დუშეთის მაზრის სოფელ ქსოვრისის მცხოვრებნი ხუთასის მანეთით დააჯარიმეს; აბრალებენ დამნაშავეთა დაფარვას. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნებიან სოლომონ ფოფხაძე, ალექსანდრე კერესელიძე და დავით რუშაძე, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომ მათ მონაწილეობა მიიღეს რკინის გზის მუშის სკოკოვის მოკვლაში; სამის წლით ვ. გულასარციანი და გ. ყულიევი, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდათ. ეტაპით იგზავნება სიღნაღში დაპატიმრებული ნინია უტიაშვილი. ოცდა ხუთხუთი მანეთით დააჯარიმეს დუქნის პატრონები: ვაკეზე—ა. ასიტოვი და ბესარიონ გელაძე; ალექსანდროვში—გრიგოლ თხელაძე; ზემო-ავჭალაში—ალექ. სუხიაშვილი, გიორ. სუხიაშვილი და გიორ. გრიგოლაძე.

**ექიმ ქანანოვის საჩივარი.** 17 მარტს ტფ. სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს ალ. კვერკველაძისა და ბებია ქალების ქ. თუხარელისა, ელენე ბაკუნოვისა და ევგენია საველიევისას, რომელთაც ექიმმა მიხეილ ქანანოვმა უჩივლა, გაზეთით ცილი დამწამესო. ეს საქმე მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეხსომებათ. ოლქის სასამართლომ ამ საქმის გარჩევის დროს ზემოაღნიშნულნი პირნი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა თითოს 7 დღით დაპატიმრება, მაგრამ მათ საქმე პალატაში გადაიტანეს.

**გამართლება.** 5 მარტს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბასტრიჩევისა, ალ. ჯაყელისა, ა. ჯირკველოვისა და ნინა ტერ-გუკასოვისა. ბასტრიჩევს და ჯირკველოვს ბრალდებოდათ მეტეხის ციხის კედლის განგრევა და გაქცევა, ხოლო დანარჩენთ გაქცეულ ბასტრიჩევის დამალვა. ბრალდებულთ იცავდნენ ვექილები ი. ბარათაშვილი და ბიხოვსკი. ოლქის სასამართლომ ყველანი უდანაშაულოდ იცნო ამ ბრალდებაში.

**გაზეთის წამღებთა დაპატიმრება.** ტფილისიდან ქუთაისის გუბერნიისაკენ ყოველ დღე საღამოობით აგენტებთან გასასყიდი გაზეთები მიაქვთ ნემსაძესა და კვინტრაძეს. 5 მარტს, საღამოს 10 საათზე, როდესაც ამათ სადგურზე გაზეთები მიჰქონდათ ეტლით, ვორონცოვის ხიდთან დახვედრიან პოლიციელები, დაუპატიმრებიათ და წაუყვანიათ პოლიციაში. გაზეთები სულ გადაუქოთებიათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საეჭვო ვერა უნახავთ რა. შემდეგ გაუნთავისუფლებიათ. მატარებლისთვის ძლივს მიუსწვრიათ.

**ქალაქის საბჭო.** 5 მარტს ტფ. ქალაქის საბჭომ თითქმის მთელი საღამო წვრილმან საქმეების განხილვას მოანდომა. ბევრი ივაჭრეს ხმოსნებმა იმის შესახებ, რომ ქალაქის ყოფილს მუშას ჯავახიშვილს, რომელსაც თავის და უნებურად სამსახურისათვის თავი დაუნებებია, მიეცეს თუ არა 15 მან. საბჭომ 5,000 მან. გადასდო ხმოსანთა საარჩევნო სიებისათვის. ამავე სხდომაზე უარი უთხრეს ვერის ხიდის მოიჯარადრეს ეგანოვს დარჩენილ საიჯარო ფულის პატიებაზე. სულ ასეთი წვრილმანი საქმე საბჭომ განიხილა ამ საღამოს 6 ს. ზე. 11 საათმაც მოაღწია, ხმოსნები გაიპარნენ. კანონიერი რიცხვი აღარ აღმოჩნდა და სხდომა დაიხურა.

ერევნის ქალაქის მცხოვრებს ვარსენიკ ტერ-ზახარიანცისას 1 მარტს მომგებიანის ბილეთით მოუგია 75,000 მან. აქედან ტერ-ზახარიანცისას 20,000 მან. სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულთათვის შეუწირავს.

ვერის ხიდის მოიჯარადრეს ეგანოვს ამ რამდენისამე დღის წინად მისვლია ბეჭედ დაკრული სამი ბარათი ერთი ქართულს და ორიც სომხურს ენაზე. ბარათებით მოუთხოვიათ 1000 მან. ეს ფული სურფ-კარაპეტის ხევში მოიტანე და იქ დასდეო. ეგანოვს ფულის ნაცვლად დანიშნულ ადგილს ბარათი დაუდვია და მიუწერია, არ გიცნობთ ვინა ხართ და თუ მოხვალთ მოგელაპარაკებითო. პასუხად 5 მარტს ღამე პანასკვეტის ქუჩაზე ეტლით მისულან შეიარაღებული კაცები და რამდენჯერმე რევოლვერებით ეგანოვის ბინის ფანჯრებისთვის უსროლიათ. ტყვია არავის მოხვედრია.

## ქუთაისის ქრონიკა

აქამდის რუსიფიკაციის მოციქულებად უფროს ერთ შემთხვევაში პედაგოგები იყვნენ და ეხლა ეს საქმე უტვირთნია ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს, რომელიც თურმე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ უკრძალავს ქართულად ლაპარაკს ერთმანეთში და ფოსტაში მოსულ ხალხთან. „ჭეშმარიტი რუსი" უნდა იყოს ბატონი უფროსი, თორემ რომელი ქვეყანა მყოფელი კაცი მოსთხოვს ქუთაისის ფოსტის მოხელეს, ქართველ კაცს, უსათუოდ უცოდინარ რუსულ ენაზე ილაპარაკოს?

ქალაქის გამგეობას განუზრახავს ბულვარის განახლება ახალი ხეების დარგვით, და საქმის მოწყობა მიუნდვია სამეურნეო სკოლის გამგისათვის.

სალორიის აგარაკი, მიუხედავად მისის სივრცისა (800 დესეტინაა), ქალაქს აძლევს ხარჯს გარეშე 8000 მანეთზე ცოტა მეტს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ქალაქის გამგეობამ, რომელიც მოწადინებულია მეურნეობისა და ტყის საქმის მცოდნეთა დახმარებით ისეთი რამე შექმნას ამ ძვირფას მამულში, რომ შემოსავალმა იმატოს. ამ დღეებში კომისია აპირებს სალორიის დათვალიერებას. შემდეგ ამისა კომისია მოხსენებას წარუდგენს საბჭოს.

სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა"-ს განზრახვა აქვს პარასკეობით, როცა ახლო-მახლო სოფლებიდან საბაზროდ მრავალი ხალხი იკრიბება, აგრონომების დახმარებით მეურნეობის შესახებ საჭირო ცნობები მიაწოდოს ხალხს.

ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს 3 მარტს სხდომა ჰქონდა გიმნაზიის ადგილის შეძენის შესახებ. რადგან ნაყიდ ადგილს გეგუთის ქუჩის მხრით პატარა ფასადი აქვს, ერთხმად გადასწყვიტეს, ფასადის გასაფართოვებლად შეიძინონ მ. ქორქაშვილის ადგილი შენობით და ზედმეტად მისცენ 12.000 მანეთი. ამ ნაირად გიმნაზიის შენობისათვის შეიძენენ დაახლოვებით 4000 ოთხკუთხ საჟენ მიწას და ეს ადგილი დაჯდება 53.000 მანეთი. ამავე სხდომაზე სამზრუნველო კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ ადგილის ფასი ნაღდი ფულით გადაიხადოს და არა ვალის გადმოტანით.

საქარის სანერგეს საქმეთა შესამოწმებლად და სანერგეს გამგის გორაევისა და სამსახურიდან დათხოვნილ მებაღის გ. ჩივაძის შორის ატეხილ უთანხმოების გამოსარკვევად, როგორც გავიგეთ, დაუნიშნავთ საგანგებო კომისია. კომისიის წევრებად დაუნიშნავთ აგრონომები ტომოფეევი და როლოვი და ერთიც მოხელე კავკასიის რწმუნებულის კანცელარიისა.

კვირას, 4 მარტს, მოწვეული იყო ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ნოქართა და ხელოსანთა სამუშაო დღის მოწესრიგება, მაგრამ წევრების გამოუცხადებლობის გამო კომისიის სხდომა არ შესდგა.

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, კიცხის სოფლის საზოგადოება (შორაპნის მაზრა) დაჯარიმებულია 1000 მანეთით ამავე სოფლის მცხოვრების ჯაბა ბარათაშვილის სასარგებლოდ იმ ზარალის საზღავათ, რომელიც მას მოუვიდა გაძარცვის დროს.

სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გენერალ-გუბერნატორმა სამ-სამი მანეთით დააჯარიმა ს. ლიხნის (სოხუმის ოლქი) ყველა მეჩვამური.

გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ადმინისტრატიულის წესით იგზავნებიან ... წლით სენაკის მაზრის მცხოვრებნი: ი. ყარჩალავა, ბარნაბა ძველიძე და ლუკა დავითაია. ვიატკის გუბერნიაშივე ხუთის წლით იგზავნებიან ოზურგეთის მცხოვრებნი იასე კაჩკარაძე და მიხეილ თედორაძე, ხოლო ვოლოგდისაში—იაკობ ვაშაკიძე.

## სახალხო უნივერსიტეტები ევროპასა და ამერიკაში.

(ლექცია ვ. ჩერქეზიშვილისა).

(დასასრული*)

მე-70 წლების დასაწყისში ახალგაზდა მეცნიერთა შორის დაიბადა აზრი—ფედერატიულს ნიადაგზე თავი მოეყარათ სახალხო განმანათლებელ დაწესებულებათათვის. ამისათვის დაარსეს შემაერთებელი ბიურო, რომელმაც იკისრა სისტემატიურად ლექციებისა და ხალხის განსავითარებელ კურსების წარმოება. უმთავრესად ლექციებს კითხულობდნენ ჰიგიენისა და ფიზიოლოგიის შესახებ; ხალხის მოთხოვნილებით შემდეგ სხვა საგნების შესახებაც შეუდგნენ კითხვას.

სახალხო უნივერსიტეტები მალე სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც გაჩნდნენ: საფრანგეთსა, ჰოლანდიასა, გერმანიასა და სხვაგან. ლექციების გათავების შემდეგ მოსწავლეთ გამოსცდიდნენ ხოლმე. მშრომელ ხალხისათვის უფრო ნაყოფიერი გამოდგა კამათი, რომელიც ლექციების შემდეგ იმართებოდა. რათა კითხვების მიცემა და განმარტების მოთხოვნა არ გასჭირებოდათ მსმენელთ, ლექციის დაწყებამდე ხალხს ურიგებდნენ წინადვე შედგენილ პროგრამას და ლექციის შემდეგ იმართებოდა კამათი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ხალხი.

კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა გამოიკვლიეს, თუ რამდენი ლექციაა საჭირო ამა თუ იმ საგნის შესასწავლად. პროფესორებმა გამოცდაც დაუწყეს მსმენელთ. 3000 კაცამდე ატესტატი მიიღო. მაგრამ მუშები სწავლას ეტანებოდნენ, არა იმიტომ რომ მოწმობა-ატესტატები მიეღოთ, მთავარი მათი მისწრაფება გონების გამოფხიზლება და გამდიდრება იყო. რომ

*) იხ. „ისარი" № 49.

---

საერთო ცნებაში—ადამიანი მათი მტერია, ადამიანი მათზედ ნადირობს, უზნეო აქტად არ მიაჩნია მათი დახოცვა. შემდეგ, როცა ჩნდება ადამიანისა და ცხოველთა ასსოციაცია,[5]) ადამიანი, მიუხედავად მის მიერ ცხოველის დამონებისა და სამუშაოდ გამოყენებისა, მსგავსებას ჰპოვებს თვის თავსა და ცხოველს შორის, და შინაურ ცხოველებთან და აგრეთვე გარეულ მოკავშირე ცხოველებთანაც ისეთს განწყობილებას იჭერს, რომელიც ჰბადებს მასში ზნეობრივ გრძნობას ამ ცხოველთადმი. მათი ცუდი მოპყრობა, უმიზნო ხოცვა, ან ჭამა უზნეო აქტად ითვლება, და როდესაც რელიგიაც დაასვამს ხოლმე თავის ბეჭედს ასეთ ზნეობრივ შეგნებას, რომელიც სოციალურ შეგნებად იქცევა, ადამიანი ხშირად ცხოველს თაყვანის საცემ საგნადაც გაიხდის ხოლმე, თუმცა ყველა ცხოველის თაყვანის ცემა მარტო ამითი არ აიხსნება, რასაკვირველია.

მაგრამ თვით ადამიანთა შორის ერთმანეთში კავშირმა და საურთი-ერთო დახმარებამ შექმნა, როგორც ვთქვით, ნამდვილი ადამიანური ზნეობა, რომელიც ვითარდებოდა ადამიანის გვარეულობისა და მთელი სახის თვით-შეგნების თანახმად. ზნეობის ასპარეზი, რომელიც თავდა-პირველად შეზღუდული იყო ცალკე გაბნეულ ასსოციაციებით, შინაგან განწყობილებით ასსოციაციაში მყოფ ინდივიდთა შორის, აგრეთვე შემთხვევით ან მუდმივ განწყობილებით ამ ასსოციაციათა შორის,—გადიდდა,—მან მიაღწია თემთა კავშირს, თემთა დიდ კონფედერაციებს, შემდეგ ეროვნებათა, ბოლოს კი მთელის კაცობრიობის სახეს. და რამდენადაც მტკიცდებოდა და მუდმივდებოდა კავშირი, იმდენად ეთანხმებოდა მორალი სრულიად საკაცობრიო მორალს; რამდენადაც კი რჩებოდა მტრობა და შუღლი ადამიანთა დიდ და პატარა ჯგუფთა შორის,—შიგნით და გარედ,—იმდენად ზნეობრივ ცნებებსაც ჰქონდა კერძო ხასიათი, რომელიც ეთანხმებოდა თავის ასპარეზის სიდიდეს. ჯგუფთა კავშირის გადიდება კი, რომელიც აუცილებელი პირობაა გვარეულობის შეგნების გაფართოვებისა და განვითარებისა, ხდებოდა მრავალ პირობის ზეგავლენით, რომელიც შეგვიძლია აგრეთვე გამოვხატოთ ჩვენის თავდა-პირველ ფორმულით, — $A \times B$, რაიც იგულისხმებს საზოგადოდ ადამიანის მოქმედებას ბუნებაზედ და ბუნებისას ადამიანზედ, ე. ი. გამოსავალი წერტილია როგორც ეკონომიურ, ისე არა ეკონომიურ მოვლენათა კვლევისათვის ადამიანის ცხოვრებაში.

თუ კი პირველ-ყოფილ კომმუნაში ამხანაგის მოკვლა ბოროტი მოქმედება იყო და ისჯებოდა,—მტრულად განწყობილ კომმუნის ამოჟლეტა, ისიც მიპარვით, საშინელ ვაჟკაცობად და კეთილ-საქმედ ითვლებოდა. თუ კი შემდეგ კომმუნათა ფედერაციით ან ეროვნებით ისაზღვრებოდა კეთილისა და ბოროტის ასპარეზი, მაგალითად კაცის მოკვლის საქმეში, დღეს საზოგადოდ „ადამიანის" მოკვლა ითვლება ბოროტ საქმედ, რადგანაც ვითარდება საერთო კაცობრიული თვით-შეგნება, რომელიც ავითარებს ერთს საკაცობრიო მორალს. დღეს კეთილია ის, რაც მთელი კაცობრიობისათვის, ანუ ყველა ინდივიდისათვის მარგებელი და განმავითარებელია; ბოროტია ის, რაც მისთვის მავნებელია, გადაშენების გზაზედ დამყენებელი.

საზოგადოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ზნეობა იმდენად ვითარდებოდა, რამდენადაც გვარეულობის შეგნება ფართოვდებოდა, ვითარდებოდა საურთი-ერთო დახმარება და რჩებოდა ადამიანთა შორის თანასწორობა და შეგნება ამ თანასწორობისა.** ზნეობას პირდაპირი კავშირი აქვს თანასწორობასთან, განსაკუთრებით საზოგადოების შინაგან ცხოვრებაში.

მაგრამ თანასწორობაც არის და თანასწორობაც. ამ უკანასკნელს მრავალი მხარე აქვს. ადვილად შესაძლებელია ძველ ბერძენ არისტოკრატს არა ანგარებით, არამედ პირდაპირ ადამიანურ გრძნობით გატაცებულს, ეშველოს მონისათვის, როდესაც ამ მონას მხეცი ჰგლეჯდა, ან საშუალო საუკუნის მებატონეს გამოეყვანოს ყმა მხეცის კლანჭებიდან, ან მტრის მახვილს გადაერჩინოს იგი. შეიძლება დღესაც ამოიყვანოს ბურჟუამ წყალში ჩავარდნილი მუშის ბავშვი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბერძენი არისტოკრატი მონას თავის სწორად არა სთვლიდა, არც საშუალო საუკუნის მებატონე თავის ყმას, თანამედროვე ბურჟუა კი მუშის ბავშვს ქარხანაში სულს ამოართმევს ზედმეტის მუშაობით. პირველ შემთხვევაში ისინი თავის თავს თანასწორად სთვლიან მონასთან, ყმასთან, მუშასთან, **როგორც ადამიანები, განსაზღვრულის სახის ცხოველები,—სხვა ცხოველთან, ან ბუნებასთან, ან მტერთან შედარებით,** ამიტომ **კეთილ** საქმეს სჩადიან; მეორე შემთხვევაში ისინი უყურებენ მას, როგორც სოციალურად მდაბალ ხარისხის ადამიანს, და ამიტომ უზნეო აქტს ახდენენ ჩვენის, საერთო—საკაცობრიო მორალის თვალსაზრისით,—ბოროტ აქტს, რომელიც მავნებელია მთელის კაცობრიობისათვის, როგორც განსაზღვრულ სახისათვის.

ადამიანთა შორის უთანასწორობის დამყარებისათანავე საზოგადოებრივ შინაგან ცხოვრებაში შეიზღუდა აგრეთვე ზნეობრივ მოქმედებათა ასპარეზი, და ამ მხრივ, თუ გნებავთ, სოციალური დიფერენციაცია პროგრესსი კი არა, დიდი რეგრესსი იყო. არისტოტელისათვის, მაგალითად, „უსულო" მონის მოკვლა კეთილშობილის მიერ სრულიადაც არ იყო უზნეო აქტი. არც საშუალო საუკუნის ბატონისათვის იყო უზნეო აქტი jus primae noctis, არც თანამედროვე ბურჟუას ეთვლება თვის ამხანაგების მიერ ცოდვად მილიარდერად გახდომა, სიმდიდრის ტახტის დადგმა დამშეულთა გვამების ხროვაზედ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ დაიბადა რაღაც კლასსიური მორალი, რომელიც ცალკე ვითარდება, დამოუკიდებლად, და განირჩევა აბსოლიუტურად სხვა კლასსის მორალისაგან. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ უთანასწორობამ უზნეობა წარმოშობა, შეავიწროვა **განსაზღვრულ საზოგადოებაში** გვარეულობის შეგნება, და საურთი-ერთო დახმარებისა და სოლიდარობის მაგიერ, სოციალურ ჯგუფთა შორის მტრობა, ბრძოლა და დამონება გამეფდა. არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელის საბერძნეთის კეთილ-შობილნი **უზნეონი** იყვნენ, არამედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უზნეონი იყვნენ მონებთან განწყობილებაში, და საერთო საკაცობრიო ზნეობას ლახავდნენ.

უთანასწორობა კი შედეგია საწარმოო ძალთა განვითარებისა? არა, სრულიადაც არა. ფაქტიურად უთანასწორობის აღჩენის პროცესსი კაცთა საზოგადოებაში შემდეგი იყო: ბრძოლა ადამიანთა ერთის ჯგუფისა მეორის წინააღმდეგ, მაგალითად, სანადირო ან საბალახო მიწათათვის; ბრძოლა შემდეგ განვითარებულ საზოგადოებაში აგრეთვე რელიგიოზურ ან სხვა რომელსამე ნიადაგზედ, დამონება ერთის საზოგადოებისა მეორის მიერ და ამ დამონების ნიადაგზედ ეკონომიურ და პოლიტიკურ პრივილეგიათა შექმნა,[6]) —ერთის სიტყვით, არა საურთი-ერთო დახმარება და კოოპერაცია, არამედ ბრძოლა არსებობისათვის ამ ტერმინის პირდაპირის ტლანქი აზრით, არამედ ძლიერისა და მოხერხებულ პირობებში მყოფ ჯგუფთა მიერ დამონება სხვა ჯგუფთა, რომელნიც უარეს მდგომარეობაში იყვნენ ბრძოლაში გამარჯვების მხრივ. საწარმოო ძალთა განვითარება განსაზღვრულ საზოგადოებაში თავის დღეში ვერ შეჰქმნიდა ადამიანთა შორის უთანასწორობას, რადგანაც იგი შედეგია ადამიანთა ენერგიის კავშირსა. იგი უფრო განამტკიცებდა კავშირისა და პირველ-ყოფილ თანასწორობას, რომ ელემენტები ძალ-მომრეობისა, ომისა და დამონებისა არ ყოფილიყვნენ უმთავრესი ძალნი თვით ეკონომიურ და პოლიტიკურ პრივილეგიათა შესაქმნელადაც. თვით იდეა კერძო საკუთრებისა არ იგულისხმებს აგრეთვე თავის თავად მონობას, არც შრომის განაწილება, რომელმაც ხელი შეუწყო კერძო საკუთრების წარმომობას. კერძო საკუთრება თავდაპირველად პირად სახმარ საგანზედ იყო მხოლოდ, აუარებელი მაგალითია აგრეთვე ყველა ხალხის მთელის ხანგრძლივი ისტორიულ განვითარებისა, რომ უკიდურესი შრომის განაწილებაც ურიგდებოდა და კიდეც ამტკიცებდა საზოგადოების კომმუნისტურ ორგანიზაციას. მას თვის აუცილებელ განვითარებით არ წარმოუშვია კერძო საკუთრება და მონობა იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა რომ საბერძნეთში, საშუალო საუკუნოებში და თანამედროვე ეპოქაში. არამედ ზემოხსენებულმა ტლანქმა ძალამ წარმოშობა მონობა, განამტკიცა ბატონ-ყმობა და ხელიშეუწყო კაპიტალიზმს. მაშასადამე მიზეზი ზნეობის დასახიჩრებისა ჟამთა ვითარებაში არა ყოფილა საწარმოო ძალთა განვითარება, არამედ ძალმომრეობით დაშლა კოოპერაციისა, რამაც გამოიწვია უთანასწორობა, — შემქმნელი „კლასსიურ ზნეობათა", რომელთაც რამოდენიმედ გადაუხვიეს საყოველთაო საკაცობრიო ზნეობას. Bâton.

(შემდეგი იქნება)

[5]) იხ. E. Reclus: L'Homme et la Terre: L'Aassociation auec les animaux.

[6]) A. Vaccaro: La lotta per l'esistenza ei suo effetti nell' nità.

ხალხი სახალხო უნივერსიტეტში ატესტატების მიღებით არ იყო გატაცებული, ამას ამტკიცებს ის, რომ ამ ბოლო დროს 45,000 კაციდან მხოლოდ 800 კაცმა მიიღო მოწმობა.

მრავალი ფაქტია იმის დასამტკიცებელი, თუ რა ნაყოფი მოიტანეს სახალხო უნივერსიტეტებმა ინგლისში. მოვიყვან ერთს გასაოცებელ მაგალითს. ამ ორი წლის წინად ლონდონში გამოვიდა სამ კაპეიკიანი წიგნი. წიგნაკის ავტორი წინად ექიმთან ხელზე მოსამსახურედ იყო. იგი სწერდა, როგორ გახდა სოფლის მეურნედ და რა შემოსავალს იძლეოდა დესეტინის ერთი მეოთხედი, რომელიც იჯარით აელო. ამ კაცს, როგორც ქალაქში მცხოვრებს, წარმოდგენა არც-კი ჰქონია მიწის მუშაობაზე. სახალხო უნივერსიტეტის გათავების შემდეგ შეუძენია ერთი წიგნი მეურნეობის შესახებ, თეორიულად შეუსწავლია მიწის მუშაობა და შემდეგ თავისს დაკვირვებით ისე კარგად დაუმუშავებია დესეტინის ერთი მეოთხედი ანუ 600 ოთხკუთხი საჟენი, რომ წელიწადში იგი იღებდა 500 მანეთამდე. სთესდა კართოფილს, კომბოსტოს და სხვა მცენარეს.

ამერიკაში სულ 484 უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია. ხშირად პატარა უნივერსიტეტები არსდება. ასეთ უნივერსიტეტში პირველ ხანს 30 სტუდენტისა და 12 პროფესორის მეტი არც-კი არის ხოლმე, მაგრამ თან და თან უნივერსიტეტი იზრდება. სკოლებს იქ საზოგადოება ინახავს. სადაც ქალაქი ან დაბა შენდება, უსათუოდ სტოვებენ მოზრდილ ადგილს სკოლისათვის. შემდეგ ადგილს ნაჭრებად ჰყიდიან ან იჯარით აძლევენ და ამით მუდმივ წყაროს უჩენენ სკოლებს. მივარდნილ და მიყრუებულ პროვინციებშიაც დიდძალი სკოლებია მოწყობილი, ასე რომ ამდენ სასწავლებლებთან თითქმის საჭირო არც-კი უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტი. მაგრამ ხალხი მარტო სკოლებს არა სჯერდება. იქ სხვანაირად ეწყობა სახალხო უნივერსიტეტების საქმე. ყოველ წლობით ახალგაზდა მეცნიერნი ათასობით მოგზაურობენ ქალაქიდან ქალაქში, და მიდიან დაბაში და ჰკითხულობენ სახალხო ლექციებს. მშრომელი ხალხი ზაფხულში სხვა და სხვა საქმეზე მუშაობს სოფლად და ოქტომბრიდან ქალაქებში მიდიან და სახალხო უნივერსიტეტსა და პროფესიონალურ სკოლებში დაიარებიან. კერძო ინიციატივამ სახალხო განათლების საქმე ამერიკაში უმაღლეს ხარისხამდე მიიყვანა, ასე რომ მარტო სახალხო სამკითხველოები ამ ჟამად 60,000-ზე მეტია. ბიბლიოთეკები იმდენად ხელ-მისაწდომია ხალხისთვის, რომ ხშირად გამგენი სწერენ მკითხველებს: შემოგვითვალეთ, რომელი წიგნი გნებავთ წასაკითხავად და, თუ ვერ მოიცლით და ვერ მოხვალთ წიგნის წასაღებად, ჩვენ გამოვგზავნით სახლშიო. ყველა ამან ისე დააწინაურა ამერიკა, რომ რაღაც სამოც თუ ოთხმოც წლის განმავლობაში ამ ქვეყანას კულტურულის ცხოვრებით, სიმდიდრით და ხალხის საზოგადო ბედნიერებით მთელს ქვეყნიერებაზე პირველი ადგილი უჭირავს. მართალია, ამერიკაში კერძო აღმოჩენანი მეცნიერებასა და ტეხნიკაში ისე არ არის განვითარებული, როგორც, მაგალითად, გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში, მაგრამ ამ ქვეყნების მეცნიერთა აღმოჩენა-გამოკვლევანი ამერიკელებმა ყველაზე უკეთ გამოიყენეს. რუსეთს გამოჩენილი მწერლები ჰყავდა — პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენიევი, მუშათა ღვიძლი შვილი შევჩენკო, მაგრამ სულ სხვა საკითხია, როგორ გამოიყენა ხალხმა მათი ნაწერები. პუშკინისა და ლერმონტოვის დროს ხალხი მონობასა და სატანჯველში იყო; ტურგენიევის დროს სიბნელეში. რუსეთი მაშინ იქნება ბედნიერი, რომ საზოგადო შეგნება და განვითარება ისეთივე იქნება, როგორიც ამერიკელთა ფერმერებშია.

ინგლისის გავლენით, სახალხო უნივერსიტეტების მოწყობის საქმე გადავიდა ავსტრო-ჰუნგრეთსა, გერმანიასა, საფრანგეთსა და სხვა ადგილებში. უფრო ცოცხლად და ნაყოფიერად ეს საქმე საფრანგეთში მოეწყო. სახალხო წიგნების გამოცემის საქმე საფრანგეთში სამაგალითოდ მოეწყო. უდიდესი ნაწარმოებიც-კი საფრანგეთში პაწაწა რვეულებად გამოსცეს. მუშები შაბათობით ასეთ რვეულს გროშის ფასათ იძენდნენ, ასე რომ რამდენისამე ხნის შემდეგ მთელი ტომები ჰქონდათ შეძენილი. მე დავათვალიერე ბინა ერთის მხატვრისა (მალიარი), რომელსაც ძვირფასი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იგი შეეძინა რამდენისამე წლის განმავლობაში. პარიზში მუშებმა თავიანთ უბნებში თავიანთ შრომით მოაწყეს სახალხო უნივერსიტეტების სადგომები, სამკითხველო ბიბლიოთეკები და სხვა. ერთი ასეთი სახალხო სახლი მეც დავათვალიერე და გავვოცდი, როცა გამოვიკითხე, თუ როგორ მოეწყოთ თვით მუშებს მშვენიერი დარბაზი. ჩემს შეკითხვაზე, რა სახსრით გააკეთეთ მეთქი, მიპასუხეს — მასალა ვიყიდეთ შეერთებულის თანხით, ხოლო მუშაობით, ჩვენ თვითონ ვმუშაობდით: ვიკით კალატოზობა, დურგლობა, შელესვა, ღებვა და სხვა.

აი ასე კარგად მიდის სახალხო განათლების საქმე დაწინაურებულ ქვეყნებში და დროა რომ ჩვენც შეუდგეთ ამ საქმესაო. ლექტორი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს დამსწრეთ. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

## მუშების ცხოვრება

**გაფიცვები.** ბოლოს დროს საგრძნობლად გაძლიერდა და გაცხოველდა მუშათა მოძრაობა ეკონომიურ ნიადაგზე. დიდი გაფიცვა სწარმოებს **მოსკოვში** ელექტრონის ტრამვაის მუშებისა და ბევრ სტამბებშიაც. მოსკოვში გაზის ქარხანაში მომუშავეთ დილით გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი გაფიცულ ტრამვაის მოსამსახურეებს მხარს უჭერენ. ქარხანაში მთავრობის წარმომადგენლები მოვიდნენ. ინციდენტი არა მომხდარა რა. **იაროსლავში** ყველა ფაბრიკის მუშებმა წარუდგინეს მრეწველთ მოთხოვნა იმის შესახებ, რომ უქმე დღეების წინა დღეს მუშაობა ორ საათზე თავდებოდეს. მრეწველთ უარი უთქვამთ და მუშები გაფიცვას აპირებენ. ქალაქ **კოსტრომაში** კონოვალოვის ფაბრიკის მუშებმა 9 საათის სამუშაო დღე მოითხოვეს და აგრეთვე მუშების დათხოვნა საერთო თანხმობით უნდა მოხდეს ხოლმეო. მოთხოვნები არ შეუსრულეს და მუშები გაიფიცნენ 26 თებერვალს. **ელისავეტოგრადში** გაფიცულნი არიან ყველა სტამბის მუშები; გაზეთი „გოლოს იუგა" ორი კვირა არ გამოდის. **ოდესსასა და ხარკოვში** ბევრი ხელოსანი და ნოქარია გაფიცული. სხვა ადგილიდანაც (როსტოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, სარატოვი და სამარა) მოდის ამბები მუშათა შორის მოძრაობის დაწყების შესახებ. უმთავრესი მიზეზი ამ გაფიცვებისა ისაა, რომ რეაქციის გაძლიერებამ ფრთები შეასხა მრეწველთ და ისინი ცდილობენ უკანვე წაართვან მუშებს უკანასკნელ წლებში მოპოვებული უფლება-შეღავათები.

## პროვინციის ცხოვრება

**რაჭა.** არა ემგვანა-რა აქაურ საფოსტო გზატკეცილის მეეტლეთა მდგომარეობის გაუმჯობესობას. ამ მეეტლეთა გაჭირვება კალმით აუწერელია. რაჭის საფოსტო გზატკეცილის მოიჯარადრე მაღაკანი თითო მეეტლეს თვეში ჯამაგირად აძლევს თორმეტ მანეთს, ე. ი. დღეში ორ აბაზს. აი, ამ ორი აბაზით უნდა დააკმაყოფილოს მეეტლემ თავის მოთხოვნილებანი: სმა, ჭამა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა. მეეტლეები სცხოვრობენ თავლაში ცხენებთან, აქ არის მათი საწოლი, მათი სასადილო. მიუჩვეველი კაცი რომ შევიდეს მათ ოთახში (თავლაში), ჯოჯოხეთი წარმოუდგება თვალ წინ, სუნთქვა გაუძნელდება და სული შეუხუთდება; მშიერ მწყურვალი მეეტლეები სუნთქავენ მყრალ ჰაერს, რისგანაც მათი დასნეულება ხშირია ხოლმე. ჯანღონით სავსე ახალგაზდა მეეტლე მალე სნეულდება და სახლში ბრუნდება დაავადებულ-დასაკუთებული. კიდევ კარგიო, შემოჩივლეს მეეტლეებმა, ხაზეინი რომ დროზე გვაძლევდეს რაღაც ორი გროში გვაქვს, ხშირად ამასაც სანატრელად გვიხდისო. როგორც მითხრეს, წასულ წელს კიდევაც გაფიცულან მეეტლენი. მაშინ ხაზეინს ჯამაგირის მომატება აღუთქვამს, მაგრამ როცა რეაქცია დამდგარა, დაპირება უკან წაუღია.

**რაჭველი შურდული.**

# რუსეთი

**დუმბაძის დეპეშა.** გაზ. „რუს"-ის რედაქტორმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „მოგილოცავთ ჩემი დღევნის კეთილად დაგვირგვინებას. მე დაჭრილი ვარ ყუმბარის ნატეხით. ჩემთან ერთად დაიჭრა რამდენიმე კაცი მაგრამ თქვენი და თქვენისთანებისათვის საუბედუროდ მე კიდევ ვემსახურები ჩემს პოლკით ხელმწიფესა და სამშობლოს. პოლკოვნიკი დუმბაძე.

**მოსკოვის ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა.** ამ ჟამად მოსკოვში შეწყდა მთელ ქალაქში ტრამვაის ვაგონების მოძრაობა, რადგან ტრამვაის მოსამსახურენი გაფიცულნი არიან. მოსამსახურეებმა დეპუტაცია გაუგზავნეს ტრამვაის პატრონს—ქალაქის თვით-მართველობას თავის მოთხოვნილებათა გამოსაცხადებლად. ამავე დროს მივიდა ქალაქის გამგეობაში ინჟინერების დეპუტაციაც და გამოუცხადა ქალაქის მოურავს, რომ მოსამსახურეთა მოთხოვნილება სამართლიანია და ადვილი შესაძლებელი.

**ვიატკის ყოფილ დეპუტატების ბედ-იღბალი.** პირველ სათათბიროში ვიატკის გუბერნიიდან 13 დეპუტატი იყო გაგზავნილი. იმათგან 5 კაცი გადასახლებულია, სამი იმალება, ერთი ადგილიდან დაითხოვეს, ერთი ამას წინად გამოუშვეს ციხიდან, ერთიც დღემდის ციხეში ზის. ამნაირად 13 კაციდან 10 კაცი დასჯილია დეპუტატობისათვის.

### წერილი რედაქციის მიმართ

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა, ბ. ივანე ჯავახიშვილმა მის-მიერ 7 იანვარს ქართულ ენაზე წაკითხულ ლექციის მთელი შემოსავალი გადასცა ქართველ მასწავლებელთა საზოგადოებას ქართულ ენაზე ლექციების მოსაწყობათ. სულ შემოსავალი იყო 254 მ. 50 კ., დაიხარჯა ზალის ქირათ—50 მ. აფიშების გაკვრაში—3 მ. მარკებში—20 მ., სულ 73 მ., დარჩა 181 მ. 50 კ., აქედან მივიღე 176 მ. 50 კ., დანარჩენი გადადაა სხვა და სხვა ხარჯზე.

**პეტრე სურგულაძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
6 მარტი.

**პეტერბურგი.** მსხვილი მემამულე პროსკუროვაში გაძარცვეს და მოჰკლეს. ფული ბევრი წაუღიათ. ვარშავაში ეტლების პატრონის სახლში სამი უცნობი შევიდა და იქაურობა გაჩხრიკა, 685 მანეთი იპოვნეს და წაიღეს. დვინის მაზრის დაბა გრივაში 6 კაცმა ვაჭარს კურლიანდა 2000 მანეთი წაართვა, იმის ცოლს ყურებიდან საყურები გამოჰგლიჯა. — ახალ ბუხარაში პოზნანსკის ქარხნის კონტორაში ოთხი კაცი შევარდა. წაიღეს 8390 მანეთი. მათ განაცხადეს: ფული სარევოლიუციოდ გვინდაო.— ნოვორადომის მაზრის სოფ. ლასენში მინის ქარხნის კანტორიდან 400 მანეთი გაიტაცეს. სოფ. ოდოლიანში, ვარშავის ახლო, სოფლის სასამართლოდან 70 საპასპორტო წიგნაკი გაიტაცეს. — ატვარსკის მაზრაში პოლიციამ 8 მძარცავი დაიჭირა. მთელი ბრბო ყოფილა შემდგარი, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკსა, ვიტებსკსა, მინსკსა და ბრესტში ვაგონებს სტეხდა და საქონელს იპარავდა. უმთავრესი საწყობი ბრესტში ჰქონდათ და იქიდან საქონელს ყოველ მხრივ გზავნიდნენ თურმე.

**პსკოვი.** ოსტროვში რევოლიუციონერების კრება ჰქონდათ. პოლიციამ 28 კაცი დააპატიმრა. არალეგალური ლიტერატურაც იპოვნეს.

**ვარშავა.** ნოვი-სვეტში «ოხრანნ»-ი განყოფილების მოხელეებმა ინჟინერ პოდკოვინსკის სახლში 40 ფუთი არა ლეგალური ლიტერატურა აღმოაჩინეს.

**გროდნო.** 3 მარტს 11 საათზე სატუსაღოდან სისხლის სამართალში მიცემული 18 ტუსაღი გაიპარა. იმათ ქვის კედელი გაერღვიათ, საწვიმარის მილით სახურავზე ასულან, იქიდან დაგრეხილის ბაწრებით ეკკლესიის ეზოში ჩასულან, ცარიელი საეკკლესიო სახლი გაუვლიათ და მიმალულან.

**ეკატერინბურგი.** საქონლის სადგურზე დაკარგული რევოლვერებით სავსე ყუთი მეისრის სახლში იპოვნეს.

**ბალტა.** დაბა რიბნიცაში დოლბერგს სახლში შეიარაღებული უცნობები შეუვარდნენ, წაართვეს 9000 მანეთი და მიიმალნენ.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** ბრესტის სადგურის მეკანტორე დაიჭირეს. აღმოაჩინეს ბრბო, რომელიც სისტემატიურად იპარავდა საქონელს რკინის გზაზე. საქონელს ჰყრიდნენ ვაგონებიდან ერთის გზიდან მეორეზე გადაცემის დროს. საქონელს განგებ გზავნიდნენ პატარა სადგურებში და იქ თავისუფლად იტაცებდნენ. დააპატიმრეს აგრეთვე ნაქურდალი საქონლის გამსაღებელნი ძმ. ბონდარევები.

**ყაზვინი.** 4 მარტს საურანსა და ბომარიკს შუა მიმავალი საფოსტო მატარებელი გზის ლიანდაგიდან გადავარდა ტუსაღების ვაგონი დაიმსხვრა. 8 ტუსაღი და ერთი დარაჯი მოკვდა, 9 ტუსაღი დაიჭრა. ორთქლ-მავალი თხრილში ჩაემხვა. 6 მარტისთვის გზა შეკეთდება.

**ჰელსინგფორსი.** შვეციის რეიხსტაგმა შეიმუშავეს კანონ-პროექტი გადმოსახლების შესახებ. კანონ-პროექტი საზღვრავს რუსეთიდან შვეციაში ებრაელების გადასახლების საქმეს. ამის საბაბად ასახელებენ აღმოსავლეთიდან გადმოსახლების საშიშროებას.

**ლოძი.** სადილობის დროს ლონკონის ქუჩაზე კანას საზოგადოების ფაბრიკის წინ მოჰკლეს ერთი მუშა. მკვლელნი სამნი იყვნენ. 14 ჯერ ესროლეს. მკვლელობა, როგორც ამბობენ, პარტიულ ნიადაგზე მოხდა.

**თეირანი.** კაზაკთა რაზმი მოვიდა. იმათ სპარსეთში რუსის საელჩოები უნდა დაიფარონ, თუ საჭირო იქნება. შაჰმა მეოწყნარა ისპაჰანელების თხოვნა, რომელსაც მეჯლისიც მხარს უჭერდა და თავისი ბიძა ზილი სულთანი სამსახურიდან გადააყენა. იმის ადგილას მოხუცი ნაზამეს—სულთანი დანიშნა, რომელიც წინად შაჰის მემკვიდრეობის დროს, თანაშემწედ ჰყავდა თავრიზში. გენერალ-გუბერნატორის დათხოვნამ, რომელიც მთელი ათი წლისით ისპაანს უკანტროლოდ განაგებდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შაჰის და მეჯლისის სასარგებლოდ.

**პეტერბურგი.** პალატამ გაარჩია საქმე ნიკოლაევსკის რკინის გზის მოხელეებად ნამყოფთა. მიუსაჯა ორს თითო წლით და სამს 7 თვით საპყრობილე. 1 გაამართლა. ამათ ჰბრალდებოდათ გაფიცვის მომხდენ კომიტეტში მონაწილეობა.

ტაშკენტში მინაკოვის სტამბას დაეცნენ. შრიფტის წაღება უნდოდათ. მინაკოვმა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა. მინაკოვი მოჰკლეს. მინსკში დომბროვსკის სახლში ს.-რევოლიუციონერების სტამბა აღმოაჩინეს. შრიფტი წაიღეს. ორი კაცი დაიჭირეს. ბერეზინის მაზრის ბოსად სტრიკოვოში კათოლიკებსა და მარიავიტებს შორის შეტაკება მოხდა. ერთი მოკლულია და 4 დაჭრილი.—ლომჟაში დაიჭირეს მაზოვეცკის ხაზინის გაძარცვის თანამონაწილე.—ბრესტ-ლიტოვსკში 11 გლეხი დააპატიმრეს. ისინი გრაფინია ზამოისკის ტყის გასაჩეხად გლეხებს აქეზებდნენ.

**ხარკოვი.** პეჩინსკის ქუჩაზე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეს უპოვნეს ყუმბარა, გრანატა, ბრაუნინგი და ფინური დანები.

**კიევი.** სოფ. ნოვოსელიცაში ახალგაზრდები იმავე სოფლელ გლეხებს დაერივნენ, რადგან უკანასკნელნი კრების დროს პირველების უწესო ქცევას კიცხავდნენ. ერთი მოკლულია, რამდენიმე დასახიჩრებული.

**ხარბინი.** ტურჩიხის სადგურზე სახალხო მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა. 17 კაცი მოკლულია და 35 დაჭრილი.

**მოსკოვი.** გაჩხრიკეს ლიაპინის სტუდენტების საზოგადო საცხოვრებელი და საარქიტექტორო-საამშენებლო მუშათა კავშირის სამმართველო. არიან დაპატიმრებულნი.

**ოდესსა.** გენერალ-გუბერნატორმა საერთა-შორისო ბანკის რუსულ განყოფილების დირექტორი 3000 მანეთით დააჯარიმა, რადგან 24 თებერვალს ბანკის მოსამსახურეს ასაფეთქებელი მასალა უპოვნეს. თუ დირექტორმა ფული ვერ გადაიხადა, 3 თვე სატუსაღოში უნდა ჩაჯდეს.

**ბერლინი.** პროკურატურამ რეიხსტაგის ს.-დემოკრატების ფრაქციის წინააღმდეგ სარჩივარი აღძრა. იმათ კრების კანონის დარღვევას აბრალებენ. ეხლახან რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ ჟურნალისტთა ბიუროს ასარჩევად. რეიხსტაგის სადგომში მათ პარტიულ კრება გამართეს და ამის შესახებ, როგორც კანონი თხოულობს, პოლიციას არ შეატყობინეს.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტიქიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. უჩერზნინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**გ. ი. გმელიშვილი** 6½—7½.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—37)

**გამოვიდა ახალი წიგნი:**
## ჩემის დღიურიდან
ნიკო მოსკოველ-ოდიშელისა.

ფასი 15 კაპ. იყიდება წიგნის მაღაზიებში: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა—ტფილისში, 2) „კოლკიდისა"—ქუთაისში, 3) „ქორონისა" და კილაძისა და თავართქილაძისა ბათუმში; 4) ფოთში, 5) ოზურგეთში. უმთავრესი საწყობი—ახალსენაკში, წიგნის მაღაზიაში „სინათლე". (3—2)

## გამოვიდა
**ექიმ ბადრიძის წიგნი: „ადამიანის სხეული ბრძოლაში არსებობისათვის.**
ქუთაისი, კილაძის სტამბა, ფასი 15 კაპეიკი. (10—კვ.—8)

მკითხველ მეზავრთა და სოციალ-დემოკრატთა საყურადღებოდ!
**იყიდება მხოლოდ რვა მანეთად**
მშვენიერ ვარაყიან ყდაში აკინძული სრული 1906 წლის სოციალ-დემოკრატის გაზეთების ყველა ნომრები: **«ნხივი»**, **«ელვა»**, **«ლამპარი»**, **«სიმართლე»**, **«ტალღა»**, და **«ჩვენი ცხოვრება»**, **«გრიგალი»**, **«წინ»**, **«ზარი»** და **«გზა»**. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ან ნახონ სადგურ მიხაილოვის ბილეთების კასსირ ჩარხიშვილთან. იქავე იყიდება 1906 სრული წლის ყოველკვირეული და ყოველ დღიური გაზეთი **«ივერია»** აგრეთვე ყდებით და ქართული წიგნები: **„ცხოვრება და სიყვარული"**, თანამედროვე რომანი 400 გვ. ორი აბაზი; **«ვარინკას ამბავი»**, მოთხრობა 150 გვ. ერთი აბაზი და **ლექსები** 100 გვ. სამი შაური. შეიძლება ფასდადებითაც და მარკებითაც.
მისამართი: ст. Михайлово Георгію Чархишвили. (5—6.—3)

*розыскивается*
ЧАЛЬСКІЙ ДОРОГОЙ
## КУМЪ
За приличное вознагражденіе.
(1—ფოლ.—1)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა
## კანტორა
სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.
კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემბერის
**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—82)